განმარტებითი ბარათი

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წლის 15 ოქტომბრის N3710 კონსტიტუციური კანონით განხორციელებული ცვლილებები, რომელთა ამოქმედებაც უკავშირდება 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის სათანადო ნორმების შესაბამისობაში მოყვანა 2010 წლის 15 ოქტომბრის N3710 კონსტიტუციური კანონით განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

1. კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედი რედაქციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით დადოს ხელშეკრულებები ეროვნული და სხვა კონვერტირებადი ვალუტით ფულადი სახსრების ვალად აღების შესახებ; გამოუშვას მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები; საქართველოსა და სხვა ქვეყნების საფინანსო ორგანიზაციებს მისცეს კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიები ეროვნული და სხვა კონვერტირებადი ვალუტით, რომელიც გამოეყოფათ საქართველოს ეკონომიკურ აგენტებს საკუთრების ფორმისა და სამეურნეო საქმიანობის მიუხედავად.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილების მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აღნიშნულ ქმედებებს განახორციელებს არა საქართველოს პრეზიდენტის, არამედ საქართველოს მთავრობის თანხმობით.

2. კანონის მე-2 მუხლის 2^1 პუნქტში განსახორციელებელი ცვლილების მიხედვით, წინადადება სახელმწიფო საგარეო კრედიტის აღებასთან ან კრედიტისათვის სახელმწიფო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებით საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე წარედგინება არა საქართველოს პრეზიდენტს, არამედ საქართველოს მთავრობას.

3. კანონის მე-2 მუხლის 2^2 პუნქტის მოქმედი რედაქციის თანახმად, სახელმწიფო საგარეო კრედიტის აღებასთან ან კრედიტისათვის სახელმწიფო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებით სხვა ხელშეკრულებების დადების თაობაზე თანხმობის მისაღებად საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადების საფუძველზე.

კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, სახელმწიფო საგარეო კრედიტის აღებასთან ან კრედიტისათვის სახელმწიფო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებით სხვა ხელშეკრულებების დადების თაობაზე თანხმობის მისაღებად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უშუალოდ მიმართავს საქართველოს მთავრობას, რომლის თანხმობაც გაიცემა განკარგულების სახით.

4. მე-2 მუხლის 2^4 პუნქტის ცვლილებით განისაზღვრება, რომ სახელმწიფო საგარეო კრედიტის აღებასთან ან კრედიტისათვის სახელმწიფო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებით საერთაშორისო და სხვა ხელშეკრულებებს საქართველოს პარლამენტს სარატიფიკაციოდ წარუდგენს საქართველოს მთავრობა.

5. კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის ცვლილების მიხედვით, სახელმწიფო საშინაო ვალის ფორმად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გარდა, ითვლება აგრეთვე სხვა სავალო ვალდებულებები, რომლებიც საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიიჩნია სახელმწიფო საშინაო ვალად და დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა. კანონის მოქმედი რედაქციით, აღნიშნულ საკითხს ითანხმებს საქართველოს პრეზიდენტი.

6. კანონპროექტით ხორციელდება ტექნიკური ხასიათის ცვლილება 24-ე მუხლის პირველი პუნქტში, სადაც ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის

სამინისტროს ნაცვლად მიეთითება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

გარდა აღნიშნულისა, ცვლილება ხორციელდება ასევე 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად, საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს შესაბამის ნორმატიულ აქტებს იმ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც სახელმწიფო საგარეო ვალის მართვის უფლებიდან გამომდინარეობს.

7. კანონპროექტის მიხედვით, ცვლილება ხორციელდება 29-ე მუხლის პირველ პუნქტში. ცვლილების მიხედვით, ინვესტიციების ან იმპორტის დასაფინანსებლად აღებული სახელმწიფო საგარეო ვალების აქცეპტირებაზე გადაწყვეტილებებს მიიღებს არა საქართველოს პრეზიდენტი, არამედ საქართველოს მთავრობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოთავაზებით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განითარების სამინისტროსთან შეთანხმებით.

8. კანონის 30-ე მუხლის პირველ პუნქტში განსახორციელებელი ცვლილების მიხედვით, ინვესტიციების ან იმპორტის დასაფინანსებლად სახელმწიფო საგარეო ვალების შესახებ ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული სახსრების საქართველოს საფინანსო დაწესებულებებისათვის გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებას საქართველოს მთავრობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადებით. კანონის მოქმედი რედაქციით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

9. კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის ცვლილების მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი საინვესტიციო პროექტებისათვის სახელმწიფო საგარეო ვალებიდან მიღებული სახსრების მართვას განახორციელებს საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის (ნაცვლად საქართველოს პრეზიდენტისა) გადაწყვეტილებებით მიღებული პირობების შესაბამისად.

10. კანონის 39-ე მუხლში განსახორციელებელი ცვლილების მიხედვით, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო გარანტიის გაცემაზე გადაწყვეტილებას მიიღებს არა საქართველოს პრეზიდენტი, არამედ საქართველოს მთავრობა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისიწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გამოწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის და მოსაკრებლის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგებეა ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთასორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავსირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალხმრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი დავით ონოფრიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი დავით ონოფრიშვილი.